


საქართველოს უნივერსიტეტი  
UNIVERSITY OF GEORGIA



13/01/2012

ქ. თბილისი

ბრძანება №7/12

შიდა მობილობის წესისა და შიდა მობილობისათვის ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

საუნივერსიტეტო წესდებით რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (საუნივერსიტეტო წესდების თავი III, მუხლი 10), საბაკალავრო სწავლების დებულების 3.5 პუნქტის და სამაგისტრო სწავლების დებულების 3.5 პუნქტის, აკადემიური საბჭოს შუამდგომლობის (ოქმი #-15/11) საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მობილობისათვის ადგილების რაოდენობა განისაზღვროს შემდეგი წესით:

აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)	ადგილი
პოლიტიკური მეცნიერებები	10
ჟურნალისტიკა	10
საზოგადოებასთან ურთიერთობა	10
ფსიქოლოგია	10
არქეოლოგია	5
ხელოვნების ისტორია	5
ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა)	3
ფილოლოგია (იტალიური ენა და ლიტერატურა)	2
კომპიუტერული ტექნოლოგიები	10
სამართალმცოდნეობა	10
ჯანდაცვის ადმინისტრირება	5
ბიზნესის ადმინისტრირება	10

აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური (მაგისტრატურა)	ადგილი
საერთაშორისო ურთიერთობები	5
მედია მენეჯმენტი	5
რეკლამა	5
საზოგადოებასთან ურთიერთობა	5

ჯანდაცვის ადმინისტრირება	3
საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა	2
ბიზნესის ადმინისტრირება	10
სისხლის სამართალი	5
სამოქალაქო სამართალი	5
საჯარო სამართალი	5

- 2. შიდა მობილობის (საქართველოს უნივერსიტეტის ერთი სკოლიდან / საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა სკოლაში / საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა) მსურველ სტუდენტთა მიერ შიდა მობილობის შესახებ განცხადების წარმოდგენის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2012 წლის 26 იანვარი.
3. შესაბამისი სკოლის საბჭოს მიერ შიდა მობილობის შესახებ სტუდენტთა განცხადების განხილვისა და შიდა მობილობის მიზანშეწონილად ცნობის შესახებ დასკვნის მომზადებისა და რექტორისათვის წარდგენის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 27 იანვრით. კრედიტების აღიარების კომისია ამავე ვადაში განიხილავს კრედიტების აღიარების/ჩათვლის საკითხს.
4. თუ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას მოიპოვებენ ის სტუდენტები, რომლებმაც ბოლო სასწავლო წლის შედეგების მიხედვით უკეთესი შედეგი აჩვენეს. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე დარჩენილია ერთი ვაკანტური ადგილი და ორი ან მეტი სტუდენტის სწავლების შედეგები თანაბარია, მაშინ ასეთი შედეგის მქონე სტუდენტების პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი.
5. ბრძანების ვებ-გვერდზე [www.ug.edu.ge](http://www.ug.edu.ge) გამოქვეყნება დაევალოს კანცელარიის მენეჯერს (ნ.ლაბარტყავა);
6. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უნივერსიტეტის უმაღლესი მმართველობის ორგანოში ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში. მისამართი ქ. თბილისი, მ. კოსტავას N77ა.

რექტორი, პროფესორი



მანანა სანაძე